ჩვენი მისამართები და საკონტაქტო ინფორმაცია:

ადამიანის უფლებათა სენტრი

მისამართი: თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11 ა, მე-3 სართული
ტელ: 2 37 69 50; 2 38 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

გორის ოფისი:
მისამართი: ჭავჭავაძის ქ. 45
ტელ: (0 370) 27 07 18

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი , ჯ. კახიძის ქ. 15.
ტელ: 2 95 23 53
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

გორის ოფისი:
მისამართი: სტალინის ქ. 19, ბინა 1.
ტელ: (0 370) 272646

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

მისამართი: თბილისი , ა. გახოკიძის ქ. 11 ა.
ტელ: 2 99 88 56
ელ-ფოსტა: article42constitution@gmail.com

საქართველოს ნამების მსხვეპჩლთა ფსიქოსო-ციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

მისამართი: თბილისი , ვ. ანჯაფარიძის ქ. 9.
ტელ: 2 220 689
ელ-ფოსტა: gcrt@gol.ge

გორის ოფისი:
მისამართი: სტალინის გამზირი 13
ტელ: (0 370) 27 79 45

საერთაშორისო სამართლიანობა

https://www.facebook.com/JusticeInt.org/

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება

2018

ჰა ᲐᲰᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ - Ე.წ. ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, იგივე ჰააგის სასამართლო, არის ორგანო, რომელიც მსოფლიო მასშტაბით იძიებს ყველაზე მძიმე ტიპის დანაშაულებს, როგორიცაა: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული, ომისა და აგრესიის დანაშაულები.

სასამართლო 2002 წლიდან ფუნქციონირებს. მისი წევრი 123 ქვეყანაა, მათ შორის საქართველო და იგი მდებარეობს ჰააგაში (ჰოლანდია), რის გამოც ხშირად მოიხსენიებენ როგორც ჰააგის სასამართლოს.

ჰააგის სასამართლო ასამართლებს არა სახელმწიფოებს, არამედ პიროვნებებს. ამით განსხვავდება იგი ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოსგან. ჰააგის სასამართლო ძირითადად ასამართლებს მაღალი თანამდებობის სამხედრო და სამოქალაქო პირებს, რომლებიც არიან დანაშაულის დამკვეთები და ორგანიზატორები.

სასამართლო შედგება 4 ორგანოსგან: პრეზიდიუმი, პალატები, კანცელარია და პროკურორის ოფისი.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲤᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

2018 წლიდან თბილისში გაიხსნა სასამართლოს ადგილობრივი ოფისი, რომლის ძირითადი ფუნქციაა 2008 წლის ომის დროს ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სასამართლოს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება. ამისათვის თბილისის ოფისი იმუშავებს სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის: ომისგან დაზარალებულებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოს ხელისუფლებასთან. ოფისის ხელმძღვანელია ბატონი კაუპო კანდი, მისი ელ-ფოსტის მისამართია: kaupo.kand@icc-cpi.int

ადგილობრივი ოფისი არ აწარმოებს საგამოძიებო მოქმედებებს. აღნიშნული მხოლოდ სასამართლოს პროკურორის ოფისის ფუნქციაა.

ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ

ჩვენ ვართ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ვმუშაობთ ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. აგვისტოს ომის დასრულებისთანავე, ჩვენ მოვახდინეთ ომის დროს ჩადენილი დანაშაულების დოკუმენტირება, რის შემდეგაც, აღნიშნული მასალები წარვუდგინეთ საერთაშორისო საზოგადოებას, მათ შორის სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოებს.

ჩვენ წლების მანძილზე ვახორციელებთ 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიების მონიტორინგს და მოვითხოვთ დამნაშავე პირთა დასჯას. ამ დროისთვის, ჩვენ წარმოვადგენთ ომში დაზარალებული 1500 პირის ინტერესებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ დაწყებული გამოძიების ეფექტურად ჩატარებას და ასევე საზოგადოების ინფორმირებას აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით. ჩვენ არ წარმოვადგენთ ჰააგის სასამართლოს და ვმუშაობთ მისგან დამოუკიდებლად. დაზარალებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ვეხმარებით სასამართლოს წარმომადგენლებს მათთან კომუნიკაციაში და ვაწვდით ინფორმაციას დაზარალებულთა საჭიროებების შესახებ. ამავდროულად, ვამოწმებთ, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს თავად სასამართლო საქართველოს კონტექსტში და ვაწვდით შესაბამის ინფორმაციას და რეკომენდაციებს პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

რეპარაციის გადახდა ეკისრება დამნაშავე პირს, თუმცა, მისი ფინანსური უუნარობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დაკისრებული რეპარაციების ანაზღაურება დაევალება დაზარალებულთა ნდობის ფონდს.

ამ დროისათვის არსებული პრაქტიკით, ჰააგის სასამართლოს მიერ დაზარალებულთა სასარგებლოდ შემდეგი სახის რეპარაციები იქნა დაკისრებული: სიმბოლური ფინანსური კომპენსაცია, კოლექტიური სახის რეპარაციები - შემოსავლის მომტანი აქტივობების მხარდამჭერი ზომები, განათლების მიღების მხარდამჭერი ზომები, ფსიქოლოგიური დახმარების მიღების ზომები, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მხარდამჭერი ზომები და სხვა.

ჰააგის სასამართლოს დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციების განყოფილება აწვდის ინფორმაციას დაზარალებულებს და აძლევს მათ შესაძლებლობას, მოითხოვონ რეპარაციები შესაბამის ეტაპზე. დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, დაზარალებულებს შეუძლიათ, დაუკავშირდნენ აღნიშნულ განყოფილებას შემდეგ მისამართზე: Po Box 19519, 2500 CM, ჰააგა, ჰოლანდია. საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: + 31 (0)70 515 8515; ფაქსი: +31 (0)70 515 8555. ელ-ფოსტა: vprsapplications@icc-cpi.int

დაზარალებულთა ნდობის ფონდი

დაზარალებულთა ნდობის ფონდი ჰააგის სასამართლოს წევრი სახელმწიფოების ნებაყოფლობითი შენატანებითა და ინდივიდუალური დონორების მიერ ფინანსდება. ფონდი მუშაობს ორი ძირითადი მიმართულებით: 1) მხარდაჭერის მანდატი, რომლის ფარგლებშიც აფინანსებს დაზარალებულთა ფიზიკური, მატერიალური ან ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროექტებს. მსგავს პროექტებს შესაძლოა წარმოადგენდეს საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული ტრენინგები, საინფორმაციო სესიები, სამედიცინო მომსახურება და სხვ. 2) სასამართლოს მიერ დაკისრებული რეპარაციების განხორციელება.

მხარდაჭერის პროგრამები ომით დაზარალებულთათვის შესაძლოა განხორციელდეს განაჩენის გამოტანამდე, მათ შორის, გამოძიების ეტაპზეც; ხოლო რეპარაციების დაკისრება დაზარალებულთა სასარგებლოდ ხდება მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ.

ისტომ დაიწყო ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისმა გამოძიება საქართველოში?

ვინაიდან საქართველო არის ჰააგის სასამართლოს წევრი ქვეყანა, 2008 წლის ომის შემდეგ სასამართლოს პროკურორის ოფისმა ომის დროს მომხდარი ფაქტების შესწავლა დაიწყო. თითქმის 8-წლიანი მოკვლევის შემდეგ, პროკურორმა დაასკვნა, რომ 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ იქნა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული და ომის დანაშაულები. ამის შემდეგ, 2016 წელს, პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე, მოსამართლეებმა პროკურორს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების უფლება მისცეს.

რა სახის დანაშაულების გამოძიება შეუძლია პროკურორის ოფისს საქართველოში?

2008 წლის მოვლენებთან დაკავშირებით, პროკურორის ოფისი იძიებს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ 2 ტიპის დანაშაულებს:

- ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (მკვლელობა, მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, დევნა, სექსუალური ძალადობა, წამება, სამოქალაქო პირების დაკავება და სხვა);
- ომის დანაშაულები (განზრახ მკვლელობა, თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობაზე, განზრახ თავდასხმა სამშვიდობო ძალებზე, საკუთრების განადგურება, ძარცვა და სხვა).

რობორია პროკურორის ოფისის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლები?

2008 წლის მოვლენებთან დაკავშირებით, ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისს უფლება აქვს, გამოიძიოს მხოლოდ ის დანაშაულები, რომლებიც ჩადენილ იქნა სამხრეთ ოსეთში ან/და მიმდებარე ტერიტორიებზე 2008 წლის 1 ივლისიდან - 2008 წლის 10 ოქტომბრამდე პერიოდში, რუსეთის, სამხრეთ ოსეთის ან/და საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ.

დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია 2008 წლის 1 ივლისამდე, ან 10 ოქტომბრის შემდეგ, ან სამხრეთ ოსეთისა და მიმდებარე ტერიტორიების გარეთ, არ ხვდება გამოძიების ფარგლებში. ამასთანავე, პროკურორის ოფისი არ იძიებს, თუ რომელმა მხარემ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი.

ჰობოჰ მიმდინარეობს გამოძიება პროკურორის ოფისის მიერ?

2016 წლის იანვრიდან პროკურორის ოფისმა დაიწყო გამოძიება საქარწწთველოს სიტუაციაზე. ამ დროიდან, გამომძიებლები აგროვებენ საჭირო მტკიცებულებებს სხვადასხვა სანდო წყაროებიდან, დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და ობიექტურად.

გამოძიების პროცესი კონფიდენციალურია და არ გააჩნია კონკრეტული ვადები. ის გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება საკმარისი მტკიცებულებების შესაგროვებლად.

გამოძიების შედეგი და ეჭვმიტანილების დაკავება

გამოძიების შედეგად, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ, პროკურორის ოფისი მიმართავს მოსამართლეებს კონკრეტული პირების ეჭვმიტანილებად ცნობის მოთხოვნით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეები პირს ეჭვმიტანილად ცნობენ, პროკურორი დაიბარებს მათ სასამართლოში, ან მოითხოვს მათ დაკავებას. ეჭვმიტანილების დაუსწრებლად სასამართლო პროცესი არ გაიმართება, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ პირების ნებაყოფლობითი გამოცხადება, ან მათი დაკავება და სასამართლოსთვის გადაცემა.

დაკავებას ახორციელებენ სასამართლოს წევრი, ან მეგობარი სახელმწიფოების სამართალდამცავები, რომლებსაც მიღებული აქვთ სასამართლოსგან დაკავების ორდერი კონკრეტულ ეჭვმიტანილზე. დაკავება რთულდება როდესაც სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ეჭვმიტანილი, არ თანამშრომლობს სასამართლოსთან. ამ შემთხვევაში, დაკავება შესაძლებელია, თუ იგი დატოვებს ამ სახელმწიფოს საზღვრებს და გადავა სასამართლოს წევრ რომელიმე ქვეყანაში. ეჭვმიტანილის დაკავებისა და სასამართლოსთვის გადაცემის შემდეგ შესაძლებელია სასამართლო პროცესის დაწყება.

სასამართლო პროცესი

სასამართლო სხდომები საჯაროა და მასში მონაწილეობა შეუძლიათ ასევე ეჭვმიტანილის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებით დაზარალებულ პირებს. დაზარალებულები პროცესში ძირითადად მონაწილეობენ თავიანთი ადვოკატის მეშვეობით, რომელიც ესწრება სასამართლო სხდომებს და სასამართლოს წარუდგენს დაზარალებულთა აზრს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

სასამართლო პროცესს არ გააჩნია კონკრეტული ვადები. იგი გრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება პროკურორისა და დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მასალების შესასწავლად, ეჭვმიტანილის, მოწმეთა და ექსპერტთა დასაკითხად და, მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად. ეჭვმიტანილის დაკავებიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე პერიოდი საშუალოდ 5 წლამდე გრძელდება, თუმცა, ეს დრო შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს ეჭვმიტანილის მიერ დანაშაულის აღიარების შემთხვევაში.

სასამართლო პროცესის შესაძლო შედეგები

სასამართლო პროცესის შედეგად დადგება ეჭვმიტანილის მიმართ გამამტყუნებელი, ან გამამართლებელი განაჩენი. გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, დამნაშავეებს შეიძლება მიესაჯოთ თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმ 30 წლით, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში - სამუდამოდ. სასამართლოს არ შეუძლია გამოიყენოს სიკვდილით დასჯა.

სასამართლოს განაჩენი ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულების იმ ადგილებში დაბრუნებას, საიდანაც განხორციელდა მათი დევნა და იძულებითი გადაადგილება.

ჰეპპიასიები

პროცესის ბოლო ეტაპზე, თუ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, დაზარალებულების მიმართვის შემთხვევაში, ჰაგის სასამართლოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება (ბრძანების სახით) დაზარალებულებისათვის ინდივიდუალური ან ჯგუფური რეპარაციების გადახდის შესახებ.